


მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

სმრია: ქართველ მეფეთა და წმიდათა ცხოვრება



წმიდა მეფის „ვახტანგ გორგასლის ცხოვრება“ ათასწლეულის მანძილზე საქართველოს ახალგაზრდობას ზრდიდა გმირული სულისკვეთებით, მამულისა და მოყვასისასადმი თავდადების გრძნობით.

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მიერ **თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოღებული** ვახტანგ გორგასლის „ცხოვრების“ სრული ტექსტი თავდაპირველად გამოქვეყნდა წიგნში „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, ამჟამად კი პირველად ქვეყნდება დამოუკიდებელი წიგნაკის სახით.

წიგნი განკუთვნილია მოსწავლეების, სტუდენტებისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

© ანანია ჯაფარიძე, 2004

ISBN 99940-14-39-0

წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის ცხოვრება

მეფე მირდატის დატყვევების შემდეგ, სპარსელებმა დააპყრეს საქართველო, გარყვნეს ეკლესიები. ქართველებმა დამალეს ჯვრები და ყოველ ეკლესიაში ცეცხლისმსახურმა სპარსელებმა აღაფხნეს ცეცხლი.

ქართველ მეფეთა ოჯახს კახეთის ხევში დარჩა. სამი წლის შემდეგ აღმოსავლეთიდან მტრის შემოსევის გამო სპარსთა მეფემ საქართველოსათვის ვერ მოიცალა. მაშინ შეითქვენ აზნაურები, დასვეს მცხეთაში მეფედ მეფე თრდატის ძე არჩილი, რომელიც მეფე მირდატის ძმისწული იყო. არჩილმა მოიყვანა ცოლი საბერძნეთიდან. მან განაცხადა სპარსთა მტრობა. გამოაჩინა ჯვრები და მოკაზმა ეკლესიები. მოსრეს და განასხეს ცეცხლმსახურნი საქართველოს საზღვრებიდან. მეფეს მოუვიდა მაშველი ძალი საბერძნეთიდან და ჯვრის წარძღვანებით დაიწყო სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლა. სპარსთა მეფის ერისთავმა, რომელიც ერისთავობდა რანსა, მოგაკანსა და აგრეთვე ქართლში არჩილის გამეფებამდე, შეკრიბა სპა რანსა, მოგაკანსა, ადანბადაგანსა და გაემართა არჩილის წინააღმდეგ. არჩილ მეფე დაუხვდა რანსა და ქართლის საზღვარზე – მდინარე ბურდუჯზე. პატიოსანი ჯვრის ძალით დაამარცხა, დახოცა და დაატყვევა მტერი, შევიდა რანში და მოვიდა ქართლში გამარჯვებულა. განავლინა ქადაგი სრულიად საქართველოში. აუწყა ყველას „არა ჩვენი ძალით, არც სიმხნით, არც სიბრძნით, არც სპის სიმრავლით ვძლიეთ მტერს, არამედ ჩვენი უფლის, ღვთის ძის, იესო ქრისტეს ძალით, რომელმაც მოგვცა წინამძღვრად და საქურველად ჯვარი მისი პატიოსანი. ახლა ყოველმა ქართველმა ადიდეთ სამება ერთარსება, ღმერთი დაუსაბამო, ყოვლის დაშბადებელი. შეწირეთ მადლობა და მტკიცე იყოს თქვენი ვული წმიდა სამების სარწმუნოებაზე“. და ყოველთა ქართველთა შესწირეს მად-

ლობა ღმრთის მიმართ და განაახლეს ეკლესიანი. არჩილ მეფემ ააშენა მცხეთაში სტეფან წმინდის ეკლესია, არაგვის კარზე.

არჩილს ჰყავდა ძე, რომელსაც უწოდა მარდატი. აღიზარდა ის მორწმუნე და ღვთისმსახურა, მამის მსგავსად. უმეტესად ებრძოდა სპარსელებს, შედიოდა და აოხრებდა რანსა და მოგაკანს, რადგანაც ამ დროს სპარსთა მეფე ებრძოდა ანდოელებს, სანდუბსა და აბაშებს და არ შეეძლო დიდი სპის საქართველოში გამოგზავნა, ხოლო რანს, მოგაკანისა და ადარბადაგანის სპას ქართველები ამარცხებდნენ, შედიოდნენ და აპყრობდნენ რანსა და მოგაკანს.

ამ დროს რანს ერისთავი იყო ბარზაბოდი, ის წინააღმდეგობას ვერ უწევდა ქართველებს და ამაგრებდა ცსენ-ქალაქებს, ხოლო რანში შესული ქართველები შებრძოლებისას მის ლაშქარს მუდამ ამარცხებდნენ.

ბარზაბოდს ჰყავდა ასული ქმულკეთილი და მშვენიერა, რომელსაც ერქვა საგდუნტი. ეს ქალი შეუყვარდა მარდატს და ქალის სიყვარულისთვის იწება მშვიდობის ჩამოგდება რანსა და ქართლს შორის. მარდატს შერთეს საგდუნტი, ისინი სამშვიდდის საერისთავოში ცხოვრობდნენ, არჩილს მეფობის დროს. ამ საგდუნტ დედოფალმა გამოიკითხა ქრისტეს რჯული. მისმა ქმარმა მოჰგვარა სჯულის მცოდნე კაცები, უთარგმნეს საგდუნტს ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს სახარება და აუწყეს მას, რომ ჭეშმარიტი ღმერთი არის ქრისტე, რომელიც ჩვენი ხსნისათვის განკაცდა.

საგდუნტ დედოფალმა გულისხმა-ჰყო და იცნო ჭეშმარიტი რჯული, დატოვა ცეცხლისმსახურება, მოინათლა და შეიქნა მორწმუნე, და აღაშენა სამშვიდდის სიონი.

არჩილის დროს ვარდაიცვალა სამი ეპისკოპოსი: იონა, ვრსგოლი და ბასილი. ბასილის შემდგომ არჩილმა დასვა ეპისკოპოსი, რომელსაც ერქვა მობადანი. ის იყო “ნათესავით“ სპარსელი, აჩვენებდა მართლმადიდებლობას, სინამდვილეში კი იყო ურჯულთ მოგვი და შემშლელი წესთა. ვერ იგრძნო არჩილ მეფემ მისი ურჯულოება. მობადანსაც არ აცნადებდა თავის რჯულს, არამედ ფარულად წერდა საცდურ წიგნებს, რომელნიც შემდგომ დაწვა ჭეშმარიტმა ეპისკოპოსმა მიქაელმა, რომელიც განიკვეთა ვახტანგ მეფის მიმართ კადნიერი ქცევისთვის.

არჩილის შემდეგ გაშეფდა მისი ძე მირდატი. დედოფალმა საგდუნტმა შვა ასული, უწოდეს სახელი ნუარანძე. ოთხ წლის შემდეგ შვა ძე და უწოდა მას სახელი სპარსულად ვარან-ნუას-რო-თანგ, ხოლო ქართულად ვანტანგ. ვანტანგი აღსაწრდელად მოითხოვა დიდი ვედრებით სპასპეტმა საურმაგმა, მისცა მას მეფემ, რამეთუ წესი აყო, რომ მეფეთა შვილები წარჩინებულთა ოჯახებში უნდა აღზრდილიყვნენ. მეექვსე წელს საგდუნტმა შვა ასული, რომელსაც მირანდუნტი უწოდეს. მას კასპის სპასალარი ზრდიდა ქალაქ კასპში. ამის შემდეგ მეორე წელს მოკვდა მირდატ მეფე და დარჩა ვანტანგ შვიდი წლის ყრმა.

საგდუნტ დედოფალს შეეშინდა, რომ მამამის ბარზაბოდს შურს არ ეძია თავისი ქვეყნის მოთხოვისთვის, ქართლში არ შემოქრილ-ყო და არ წარეწყმიდა ქრისტეს რჯული. წავიდა ბარდავში, შეეკედრა მამამისს, მუხლმოდრეკილმა, თავმონდილმა და ძუძუ-ბამოყრილმა ცრემლით ითხოვა შეწყალება. ევედრებოდა არ ენ-სენებინა ნამოქმედარი ქმრისა და მამამთილისა, შეენდო რჯულის დატოვება, არ აეძულებინა ქრისტეს რჯულის დატოვება, რამეთუ აგი არის ქეშმარსიტი ღმერთი, და ევედრებოდა, რათა მისი შვილი თავის მამულში დაეტოვებინა და მისი მოურავი ყოფილიყო სპარს-თა მეფის წინამყ.

მაშინ ბარზაბოდმა, გამზადებულმა ქართველთა ბოროტის ყოფისთვის, შეაწყალა თავისი ასული, აღასრულა ყოველი მისი თხოვნა, ხოლო რჯულისთვის ასე თქვა: „ძულებით არც ერთ ქართველს ქრისტეს რჯულს არ დავაგდებინებ, მაგრამ ვაგაგზავნა თქვენს ქალაქებში ცეცხლის მსახურებს და იყვნენ იქ ჩვენს რჯუ-ლის ეპისკოპოსებს, რომელი ქართველც თავისი ნუბით აარჩევს ჩვენს რჯულს, მას ნუ დააბრეოლებთ“.

საგდუნტ დედოფალი შაშის გამო დაეთანხმა. მაშინ ბარზაბოდ-მა მცხეთაში გამოგზავნა ცეცხლისმსახურები და მათი ეპისკოპოსის ბანქარანა. ისინი დასხდნენ მოგუთას. ბარზაბოდის საეგდილის შემ-დეგ, მის ნაცვლად სპარსთა მეფემ დაადგინა ვარაზ-ბაკური, ძმა საგდუნტ დედოფლისა. მეფემ გარდაცვლილი სპასპეტის, საურმაგ-ის, ნაცვლად დაადგინა სხვა სპასპეტი, რომელსაც ერქვა ჯუა-ნშური.

ბნქარან, ცეცხლის მსახურთა ეპისკოპოსი, ქართველებს ასწავლიდა თავის რჯულს. მან წარჩინებულთაგანი ვერავინ შეაცდინა, მაგრამ წვრილი ერთიანი მრავალი მაქცია ცეცხლისმსახურებაზე და შეერია ქართლის წვრილ ერს ცეცხლმსახურება. ამისათვის მწუხარე იყო საგდურტ დედოფალი. მაგრამ სპარსთა მძლავრობის გამო ვერაფერს ბედავდა. მაშინ მოიყვანა საბერძნეთიდან ჭეშმარიტი მღვდელი, სახელად მიქაელი და დაადგინა იგი ზემო ეკლესიის ეპისკოპოსად. რამეთუ მობიდან ეპისკოპოსი გარდაცვლილი იყო. ეს მიქაელ ეპისკოპოსი წინაღუდვა ბნქარან მაცდურს და ყოველ ქართველს ასწავლიდა ჭეშმარიტ რჯულს. ამან თავის რჯულზე დააყენა ყოველი წარჩინებული ქართველი და ერის უძრავლესობაც. მაგრამ წვრილი ერის ეცირე ნაწილი ცეცხლმსახურებაზე მიაქცა. მაშინ, როცა ვანტანგი ათი წლის ვანდა, გადმოვიდა ოსების ურაცხვა სპა.² მათ მოტყვევენ ქართლი მტკვრის თავიდან ხუნანამდე, მაგრამ ცინე-ქალაქები ვერ აიღეს, კასპის გარდა. ქალაქი კასპი შემუსრეს და სამი წლის მირანდურტი, ვანტანგის დაი, წაიყვანეს. ამ დროს დარჩათ წარუტყვევებლად ხევის ქართლისანა: კახეთი, კლარჯეთი და ეგრისი. ჩავლეს რანი და მოვაგანი, ისიც წარტყვევენ და დარუბანდის კართი დაბრუნდენ ოსეთში.

ამ დროს შემოვიდნენ ბერძნები აფხაზეთიდან, რამეთუ ბერძნებს ეჭნათ ეგრისწყლის ქვემო ქვეყანა და დაიხრეს ბერძნებმა ეგრისწყლიდან ვიდრე ცინე-გოჯამდე.

მაშინ შეიქნა გლოვა და წუხილი ყოველთა ქართველთა და იტყოდნენ: „ვანვამრავლეთ ცოდვა ღვთის მიმართ და არა კეთილად ვიპყართ სჯული ქრისტესი და წესი იოვანეს მცნებისა. სამართლიანად მოაწია ღმერთმა ეს რისხვა ჩვენზე, რამეთუ მიგვცა ჩვენ წარსატყვევებლად უცხო ერს და ჩვენს საზღვარს მიიტაცეს ბერძნებმა, ისე, როგორც მეფე ვარაზ-ბაქარის დროს კლარჯეთი. ის ვარაზ-ბაქარის ცოდვით მოიწია, რამეთუ კეთილად ვერ იბყრა ქრისტეს რჯული. ხოლო ეს არა ჩვენს მეფეების ცოდვისაგან იქმნა, არამედ ერის ცოდვისაგან, ახლა ჩვენს მეფე ყრმა არის და არა გვყავს წინამძღვარი, რომელიც ქრისტეს სასოებით და ჯვრის წინამძღოლობით წარგვიძღვებოდა წინ. მაგრამ უნდა ვიძიოთ ჩვენ შური პირველად ოსებზე და შემდეგ უნდა მოვიძიოთ ბერძენთა-

გან მიტაცებული ქართლის საზღვარა“.³ ამას ამბობდა ყოველი ქართველი და იყვნენ დიდ მწუხარებაში.

ვანტანგი აზრდებოდა და სწავლობდა მიქაელ ეპისკოპოსისგან უფლის ყოველ მცნებას. სიყრმიდანვე შეიყვარა ქრისტეს რჯული, ქართლის ყოველ მეფეზე უფრო მეტად. მაგრამ წუხდა ამის გამო, რომ ქართლი დატყვევებული იყო ცეცხლმსახურების მიერ, ხოლო ქართლის საზღვრები კი მიტაცებულია. მაგრამ სპარსთა მძლავრობის გამო ვერ აცნადებდა.

როცა ვანტანგი თხოიმეტი წლის ვახდა, მოუხმო ქართლის ყველა წარჩინებულს. ყველანი შემოიკრიბნენ ქალაქში. მეფემ გაამზადა ერთი სახლი და დაჯდა მაღალ საყდარზე (ე.ა. ტანტზე), სპასპეტი ჯუანშერი და ორივე ეპისკოპოსი აგრეთვე საყდრებზე დასდნენ, ხოლო სხვა ყოველი ერისთავი სელებზე დასდნენ. ათასისთავები, ასისთავები და ერი ფეხზე იდგა.

მეფემ, ვითარცა მონუცებულმა და ბრძენმა, და როგორც ფილოსოფოსთა შორის აღზრდილმა, წარმითქვა სიტყვა. მოუწოდა ოსებზე შურისძიებისკენ. ეს რომ სპარსთა და ბერძენთა მეფეთაგან მოგესვლოდა, მოვითქმნით, მაგრამ ამის მოთქმენა, რაც ჩვენ მოგვაწიეს ოსებმა, არ შეიძლება, სიკვდილი სჯობს ჩვენთვისათ.

ჯუანშერ სპასპეტმა ვრძელი სიტყვით მიმართა მეფეს და უთხრა, თუმიცა საბრძნით, ძალით, სიმზნით და აგებულებით სრულყოფილი ხარ, მაგრამ მხედრობისთვის არასრულწლოვანი ხარ. ვამთარჩიე ერთი ვანზე ჩვენთაგან სპის წინამძღვრად, ხოლო შენ იყავ შენ და განავე მეფობა, შენ რომ ომის დროს იძლიო, ქვეყანა წარწყმდება, რადგანაც ქვეყანაზე შენა ნაცვალი სხვა არავინ არისო.

ვანტანგ მეფე არ დაეთანხმა და თვითვე იხება ჯარის წინამძღვრობა. შემოიკრიბა ქართლის სპა - 100 ათასი მხედარი და 60 ათასი ქვეითი. გამოგზავნა აგრეთვე ვარაზბაკურმა თავისი სპა - 12 ათასი მხედარი. შეუერთდნენ მას კავკასიელი მეფეები 50 ათასი მხედრით, და წარემართა ღვთის სახელით, განვლო დარიალანის კარი და, როცა შევიდა ოსეთში, იყო 16 წლის.

ოსეთის მეფეებმა შეკრიბეს თავიანთი სპა, მიიღეს აგრეთვე ხაზარეთიდან ძალები და დახვდნენ ვანტანგს მდინარეზე, რომელიც დარიალანს გაივლის და ჩადის ოსეთის ველზე. ამ მდინარესაც

არაგვი⁴ ჰქვია, რამეთუ ერთი მთიდან გამოდის ორივე: ქართლის არაგვი და ოსეთის არაგვი. ორივე ჯარმა მდინარის აქეთ და იქით დაიბანა. პირველ შვიდ დღეს მდინარეზე ერთმანეთს ბუმბურაზება ებრძოდნენ. აბრძოდა ერთი ნაზარი გოლიათი, სახელად თარხანი. მან ქართველი სახელგანთქმული მებრძოლი დაამარცხა, რომლის მსგავსი ჯარში არაგვი იყო. მეორე დღეს თვით ვანტანგი გავიდა მის წინააღმდეგ. თარხანი უთხრა, მე გოლიათებს და გამოცდილ გმირებს ვებრძვი და არა ყმაწვილებს, მაგრამ შენთვის თავს დავამდაბლებო. მოკლა ის ვანტანგმა ოროლით. მეორე დღეს გამოვიდა საბრძოლველად ბაყათარ ოსი. გამოვლო მან მდინარე და ისრებს ესროდა ვანტანგს. მაგრამ ვანტანგი თავისი გონების სიმანგილით, თვალის სიფიცხითა და ტაპის სიუსკასით არიდებდა ისრებს, რამეთუ შორიდანვე სედავდა მომავალ ისარს, წლდებოდა და სიმარჯვით მუყანლებოდა. ამიერ და ამიერ სპათაგან იყო ცემა ბუკებისა და დაფდაფებისა. აძროდა ხმისაგან მთა და ბორცვი. მოჰკლა ხმლით ვანტანგმა ბაყათარი.

ქართველთა ჯარი გაემზადა საომრად: წინ დადგნენ ცხენოთროსანი და ჯაჭვ-ჩაბალახოსანი მეომრები. მათ უკან ქვეითნი, ხოლო ქვეითთა უკან მხედრები. ძლიერი ბრძოლის შემდეგ ოსები აძლიან და გაიქცნენ. მრავალი დაატყვევეს.

დაამორჩილა ვანტანგმა ოსები და ყივჩაღები⁵ და შექმნა კარნი ოსეთისანი, რომელსაც ჩვენ დარიალისად ვუწოდებთ, აღაშენა მასზე მაღალნი გოდონნი. და მახლობელი მთიელები მცველებად დაუდგინა. ყივჩაღებს და ოსებს აქ გადმოსვლა აღარ შეუძლიათ ქართველთა მეფის ბრძანების გარეშე.

ვანტანგი შევიდა პაჭანაკეთში, რამეთუ მაშინ პაჭანაკეთი ოსეთის ესაზღვრებოდა და იქვე იყო ჯიქეთი. მრავალი დროს შემდეგ პაჭანაკები და ჯიქები თურქებმა ამ ადგილებიდან ვანდეგნეს. პაჭანაკები დასავლეთით წავიდნენ, ხოლო ჯიქები დამეგვიდრდნენ აფხაზეთის ბოლოს. ვანტანგმა გამოისხნა თავისი და მირანდუნტი ტყვეობისაგან და გამოეზაგნა საქართველოში დარიალის გზით, ხოლო თვითონ ქართველთა დიდი სპით წავიდა აფხაზეთში. ამ დროს ბერძენთა მეფე მოუცლელი იყო სპარსელებთან ბრძოლის გამო, ამიტომაც არ შეეძლო ვანტანგის წინააღმდეგ აფხაზეთში თავისი

სპის გამოგზავნა. ვანტანგმა აიღო აფხაზეთის ყველა ცხენე სამ წელიწადში, ვადრე ცხენ-გოჯამდე.⁶

ვანტანგი დაბრუნდა სამეუფო ქალაქ მცხეთაში. ქალაქის მოსახლეობა, ქალები და კაცები, ფეხქვეშ უფენდნენ ნაჭრებსა და სამოსელს, თავზე აყრიდნენ დრამასა და დრაჰკანს, აღუწევნელი ხმით შეასწამდნენ ქებას, რამეთუ არც ერთ მეფეს ასეთი ძლიერი წყობა-შებნობების ხელოვნება არ ჰქონია.

გაუგზავნა ვანტანგმა სპარსთა მეფეს ძვირფასი ძღვენი ბინქარან ეპისკოპოსის ხელით და ითხოვა სპარსთა მეფისაგან ასული ცოლად, რომელსაც ერქვა ბალენდუხტი. სპარსთა მეფემ მისცა თავისი ასული და მზითვად სომხეთი და ყოველი კავკასიელი მეფე. მისწერა წიგნი ვანტანგს და მოუხმო ბერძენთა კეისრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

შეკრიბა ვანტანგმა თავისი და კავკასიელი მეფეების სპა - 200 ათასი კაცი. შეუერთდა მას რანის ერისთავი, მისი დედის ძმა გარაზ-ბაკური არდაბადაგანის, რანისა და მოვაკანის 200 ათასი მხედრით.

ამ დროს ვანტანგი იყო 22 წლის, ყველა კაცზე მაღალი, სახით უმშვენიერესი, ძალით ძლიერი, ისეთი, რომ აღჭურვილი, ფეხით ირემს ეწოდდა და რქით იჭერდა და აგრეთვე შეჭურვილ ცხენს მხრებით აიღებდა და მცხეთიდან არმაზის ცხენში ადიოდა.

ვანტანგი და მისი დები იყვნენ შთამომავლები ბაქარ მირიანის ძისა. ხოლო მირიანს და გრიგოლს იყვნენ რეკ მირიანის ძის შთამომავლები. მათ კუხეთი ჰქონდათ და რუსთაგ-ქალაქში ცხოვრობდნენ, მაგრამ შემცირებულნი იყვნენ ერთმანეთის კვლით.

მირიან მეფიდან ვანტანგ მეფემდე ვარდასული იყო თაობა რვა, ხოლო მეფენი ათნი. გასული იყო 157 წელიწადი, ხოლო ეპისკოპოსი ჭემშარიტ წესზე მდგომი ვარდაცვლილი იყო რვა, ხოლო სხვები წესის შემწლელები იყვნენ.

ვანტანგი გაემართა საბერძნეთისკენ. შევიდა სომხეთში, მას აქ შეუერთდნენ სომხეთის ერისთავები. ცხენ-ქალაქი, რომელსაც კარნუ ქალაქი ეწოდება, ვერ აიღეს, რადგანაც სამი მაღალი ზღუდე ჰქონდა. დატოვა იქ საბრძოლველად მხედრობა და თვითონ შევიდა პონტოში. გზაზე სამი ქალაქი მოათხრა: ანძორეთი, ეკლეცა

და სტერსი. შემთავდა ლაშქარი პონტოს ზღვისპირეთის დიდ ქალაქს და ლაშქარმა თითქმის კონსტანტინეს ქალაქამდე მადღწია. სპარსელუბი ეკლესიის მსახურებს ჰკლავდნენ. ვანტანგ მეფემ ამცნო სომხუბის სპას, აგრეთვე სპარსელებს, არ მოეკლათ სამღვდელთობა, არამედ დაეტყვევებინათ. ვანტანგმა წარმოთქვა სიტყვა და უთხრა მათ: როცა მირიან მეფე სპარსთ მეფეს შემოჰყვა აქ ბერძენთა წინააღმდეგ საომრად, ასევე უყოფდნენ მოწესეებსა და ეკლესიის მსახურებს, ამიტომაც დამარცხდნენ. იმ დროიდან ბერძენებმა ჩვენ, ქართველებს, წავგართვეს მსუბი პონტოს (შავი) ზღვის აღმოსავლეთით, და ერთმანეთს შეებრძოლნენ ანძიანძორში, სადაც ამჟამად არის საფლავი დიდი მოძღვრისა გრიგოლისა და აქედან უკუიქცენ ჩვენი მეფეებით.

ვანტანგმა სომხეთის სპას შეახსენა თავიანთი ეკლესიის ისტორია და ყველას მოუთხრო შინაარსი ნებროთის იმ წიგნისა, რომელიც დაფარულად ჰქონდათ ქართველ მეფეებს. ყველას უბრძანა არაფერი ეგნოთ ეკლესიებისა და ღვთისმსახურებისათვის. ვანტანგმა ამცნო ყველა დამალულ მოწესეს (სამღვდელთებს), გამოსულიყვნენ სამალავიდან. ტყვეები გაათავისუფლა. გამოვიდნენ მღვდლები, დიაკვნები და მოწესე მონაზვნები სამალავებიდან. მათთან იყო ორი კაცა: პეტრე მღვდელი, გრიგოლ ღვთისმეტყველის ერთერთი მოწაფე, რომელიც მის საფლავზე მღვდელობდა და სამოელ მონაზონი. ისინი წარუდგნენ ვანტანგს ტყვეთა და ეკლესიების განთავისუფლებისათვის მადლობის შესაწირად. ვანტანგმა პეტრე მღვდელი და სამოელ მონაზონი თავისთან დაიტოვა. უთხრა მას პეტრემ: „ეკლესიანს ხორციანს უფრო მეტია ღვთის წინაშე, ვიდრე ქვის ეკლესია. ქვის ეკლესია როდესმე დაარღვევიან და ამავე ქვებით კვლავ აღაშენებენ, ხოლო ეკლესიანს ხორციანს როცა დაარღვევიან, ვერავინ შეძლებს მათ განკურნებას, ვერც მკურნალი და ვერც მეფე, და შენ რამდენი მართალი კაცა დაგაცა! მე მსურს შენი აღდგინება, რათა არ იყო იმ კაცთა მსგავსი, რომელნიც მარჯვენით აგებენ, ხოლო მარცხენით არღვევენ და არც ისეთი, რომელნიც პირით აკურთხებენ და გულით სწყევლიან და ავინებენ. არამედ იყო როგორც კეთილხსენებული მეფეები, რომლებმაც დაიპყრეს სოფელი და არც სასუფეველს განშორებთან.

მე მნებავს, რათა შენს მიერ აღფხვნილებული ეს ცეცხლი შენვე დაშრატო და აყო მეგობარი კეისრისა, როგორც დღემდე აყავა სპარსელებსა. ბერძნები არიან ნათესავნი ღმერთისაჲნი“.

მაუგო მეფემ: „მნებავს, რომ ამ ღამეს თქვენს ლოცვის ძალით მეჩვენოს ჩემი და კეისრის შეკრება და რომ ჩვენს შორის სიყვარულის დამყარებაზე უნდა აყოს მსჯელობა, რათა ვცნა მე, რომ ქრისტეს სურს ჩემთან შენ აძვეარი ლაპარაკი“.

პეტრემ ითხოვა დრო ლოცვისთვის და წავიდა.

მეფემ ალოცა და დაწვა. თვალის მარულვისას წარმოუდგა მას წმიდა ნინო და უთხრა: „ადექ, მეფე, და მოკრძალებით წინ მიეგებე შენთან მომავალ ორ მეფეს - ზეცისას და ქვეყნისას“. მივიდა ვანტანგი და ისინი ორი ტანტა: ერთზე აჯდა ჭაბუკი გვირგვინისანი საქურვლით, მეორეზე მოხუცებული მჯდომარე სპეტაკი ზეწრით, მას თავზე ედგა არა ოქროს, არამედ ნათლის გვირგვინი და მის ფეხით აჯდა ნინო. და ვანტანგის მარჯვენა ხელი ეჭირა პეტრე მღვდელს, ხოლო მარცხენა სამოელს. უთხრა სამოელმა: თაყვანი ეცი პირველად ზეცის დიდ მთავარს ვრიგოლს. მივიდა და თაყვანი სცა და უთხრა ვრიგოლმა: „ეს რა ბოროტება ჩაიდინე, კაცო, რამეთუ მთაონე ჩემი ბანაკი და მხეცებს შეაჭამე ჩემი საცხოვარი. უკეთუ არა ეგ ორნი, რომელნიც გვერდით ვიდგანან და ეს სათნო დედაკაცა, რომელიც მარად იღვწვის მარამთან ერთად თქვენთვის - შურს ვიგებდი შენაბნებისგან, რომელნიც ცეცხლს სასოებენ და არა ყოველთა განმანათლებელ ბრწყინვალებას“. და გაუწოდა ხელი და ეამბოროა ხელზე ვანტანგი. მან მოვიდა ხელი ნათლის გვირგვინს და ისეთივე გვირგვინი მისცა ვანტანგს და უთხრა: „დაადგა ეგ პეტრეს“. და აიღო პეტრემ თავის გვირგვინზე უდარესი გვირგვინი და დაადგა სამოელ მონაზონს.

უთხრა ნინომ ვანტანგს: „ახლა მდი მეფესთან და მადე შენ საბოძვარი“. მივიდა მეფესთან, ეამბორონენ ერთმანეთს და ადვილი მისცა ტანტზე თავის გვერდით. მისცა ბეჭედი თავისი ხელიდან, რომელსაც ჰქონდა ფრიად ნათელი თვალი და თქვა კეისარმა: „თუ გნებავს გვირგვინი, აღუთქვი მას, ვინც ჩვენს წინ დგას, რომ შეებრძოლები მის მტრებს, და მადე მისგან გვირგვინი“. მოხედა ვანტანგმა და ისინი ჯვარი, რომელსაც ფრთებზე ჰქონდა გვირ-

გვინი, ჯვრის ხილვამ შეაძრწუნა და დადუმდა. აღდგა წმიდა ნინო, გაიხედა პეტრესა და სამოელისკენ და ერთხმად თქვა: „ჩვენ ვართ თავსმდები, რომ ყველაზე უფრო მეტად შეასრულებს“, და მიჰყო ხელი კეისარმა, და აიღო გვირგვინი ჯვარისაგან და დაადგა ვანტანგს.

უკან გამოსვლისას შეენძიანა ეპისკოპოსი სამგზის: „ვანტანგ, ვანტანგ, ვანტანგ! უმეტესად მორწმუნე აქნები შენ სპარსთა შორის“. მეორედ: „ამენდებთან შენგან ეკლესიები და განუწყესებთან ეპისკოპოსები და ეპისკოპოსთა მთავარი“. და მესამედ: „წამების გვირგვინსაც მიიღებ“. გამოვიდა ვანტანგი და უხმო ძილშიავე პეტრესა და სამოელს, და მოუთხრობდა ძილშიავე ჩვენებს, ხოლო ისინი უხსნიდნენ: „ტანტუე, რომელიც ისილე, ნათლის გვირგვინისანი, არის დიდი მოძღვარი გრიგოლი და რაც მომეცა მისი გვირგვინისგან, ის იყო, რომ მიმეცა ეპისკოპოსთა მთავრობა, ხოლო რაც მივეცი ჩვენს გვირგვინისგან ჩემს მოყვასს, ის არის, რომ ჩემგან მიეცემა ეპისკოპოსობა. ხოლო თქნოს გვირგვინისანი იყო კეისარი. ბეჭედა, რომელიც მოგცა, ის არის, რომ თავის ასულს მოგცემს ცოლად და ყოველი საწღვარა ქართლისა, მისგან მიტაცებული, მოგცეს. ხოლო გვირგვინი, რომელიც ჯვარისგან მოგეცა, ის არის, რომ დიდ ღვაწლს გადაიხდი ჯვრის შეწყენით. ხოლო ჩვენს მოძღვარი სამგზის რომ შეგეხმებანა, საბამ სიმდიდრე მითხოვა შენთვის ღმერთისგან: რათა შენს მიერ ქართლის ჭეშმარიტება დაეპტეცოს კათალიკოსებისგან და ეპისკოპოსებისგან, სძლეგ შენს მტრებს შენს აღსრულებამდე, ხოლო აღსრულებისას წამების გვირგვინს მიიღებ ბრძოლისას და მტრებს ხელში არ ჩაუგარდები. ყოველივე აღსრულდება შენს სიბერემდე და დაუძლურებამდე“.

ვალდებულებისას ვანტანგმა მადლობა შესწირა ღმერთს და მოუხმო პეტრესა და სამოელს. მათაც ღამით იფიქრე ჩვენება ნახეს. პეტრეს უთხრა: „არაგინ არის ჩვენ შორის ჭეშმარიტი მორწმუნე, რომელიც დანერგა ჩვენმა მამამ მირიანმა ანდა თრდატმა, დედით ნათესავმა ჩემმა. ამით ყოველთა სარწმუნოება ვაცა, რომელიც სავსე არის საცდურით“.⁷ პეტრე მოცაქულად გაგზავნა კეისართან. ვანტანგმა მეორე დღეს შეიტყო, რომ სპარსეთიდან დაბრუნებული ბერძენთა სპა კონსტანტინოპოლში შევიდა. მან მოუხმო მეთაურებს

და უთხრა: „ბერძნებს მრავალრიცხოვანი სპა ჰყავთ, ბრძოლისას მარჯვენი არიან, ასევე ზღვაზედაც. მეშინია, არ მოვიდნენ ზღვით, გზა არ მოგვჭირან და არ ამოგვხოცონ როგორც ბაჰმა შემწყვდეულია. აყვართ ღაშქარი და ზღვის სამხრეთით დაგებანაკით, რათა გვექონდეს გზა ჭირისა და ღზინისა“. მოხსნეს ქალაქის ალყა და დაიბანაკეს იქიდან ხუთი დღის საგალზე, სპერსის სიანლოგეს. მადლობა შესწირეს ვანტანგს სიკვდილს მიწვენილმა ქალაქებმა. პეტრე მივიდა კეისართან და მოუთხრო ყოველივე. კეისარმა ფრიად გაიხარა და ყოველივე, რაც სხილა ვანტანგმა ჩვენებაში, მისცა. პეტრეს პირით შეუთვალა ვანტანგს, რომ მისი მეფობის თანასწორად ჩათვლიდა. ხოლო ორთავეს ღაშქარი სპარსელებს დაამარცხებდა, როცა ვანტანგი და იფა (კეისარი) გაერთიანდებოდნენ. კეისარმა ზღვით გამოაგზავნა 500 ხომალდი, 500-500 ჯარისკაცით. ისინი უნდა მისულიყვნენ ვანტანგთან და უბრძოლველად უნდა დამდვარიყვნენ. თვითონ კეისარი გამოემართა პონტოს გზით 800.000 კაცით. როცა მოვიდა ზღვით სპა, სპარსელებს უნდოდათ მათ წინააღმდეგ ბრძოლა, ხოლო ვანტანგი მეფე აჩერებდა სპარსელებს და არ მიუშვა საბრძოლველად.

კეისრის მოცაქეულებმა ვანტანგს საიდუმლოდ მთართვეს ჯვარი, გვირგვინი და შესამოსელი. აღუთქვა კეისარმა ვანტანგს, რომ უკანვე მისცემდა თუნარისს და ქართლის საზღვრებს. ვანტანგმა კეისარს ამცნო: „რაც არ შეგნის შენს ღვთისმოყვარებას, სწვას ნუ აძულე, რამეთუ დაღატი პატისიანი კაცის ხელობა არ არის. თუ ახლა შენ მოგცემ დასამარცხებლად სპარსელებს, ჩემი სახელი ხომ გაცრუვდება? შემდგომ კი, როცა ჩვენს საქმე გადაწყდება, უფრო უძჯობესად მოგეძრობი სპარსელთა წინააღმდეგ“. ვანტანგმა კეისარს ურჩია, თავი შეეკავებინა შებრძოლებისგან. ბერძნებს ღაშქარი მოსწევდა, ხოლო ვანტანგი აჩერებდა თავისიანებს და უშლიდა ბერძნებთან შებრძოლებას. მაჰრა მასთან სპარსთა ერისთავი, დედის ძმა მისი და უთხრა ვანტანგს რისხვით: „მამაშენის დედა ბერძენი იყო, გძლია შენ მისმა ბუნებამ და სიყვარული გაქვს იმ ჯვარცმული მომეგდარი კაცისა. ვნებავს, რომ ბერძენთა ხელში ჩავყვარო“. ვანტანგმა მას უთხრა: „აჰა, შენ და აჰა, ბერძენი, ახლავე შენ იმ მომეგდარი კაცის ძალას“.

გავიდნენ სპარსელები, სომხები და დარუბანდის მეფე ბერძნებთან საბრძოლველად. მეფე ვანტანგი და ქართველები არ იბრძოდნენ, იდგნენ და უყურებდნენ. დამარცხდნენ აღმოსავლელები, მოკლეს ომში ვანტანგის დედის ძმა, სპარსთა ერისთავი. ამის შემდეგ, კეისრის ნების ვარეშე, ბერძენთა სპასალარი შეებრძოლა ქართველებს. ვანტანგმა ის პირისპირ შეებრძოლებსას მოკლა. ომში დაიღუპა 43.000 ქართველი. გაიმარჯვეს.

ვანტანგმა ამის შემდეგ გაათავისუფლა დატყვევებული 780.000 ქალი და კაცი. ვაუჭანგა ისინი კეისარს და ამით ნუგეშინი-სცა ბერძენი სპასალარის მოკვლისათვის, რომელიც კეისარის ნათესავი იყო. კეისარმა ფრთად გაიხარა და შეხვდა ვანტანგს. ჰყვეს ურთიერთადობა და ფიცა, ნაშნობის საქმე მოავგარეს. უკუშინა კეისარმა ვანტანგს ქართლის საზღვარი ცახე თუხარისა და მთლიანი კლარჯეთი,⁸ ზღვიდან არსიანამდე.

გამოიკითხა კეისარმა საბერძნეთის საზღვარი აფხაზეთში და თქვა ასე: „ეგრისწყლიდან ვიდრე მცირე ხაზარეთის მდინარემდე⁹ - ეს არის საზღვარი საბერძნეთისა აღუქანდრე მაკედონელის დროიდან, რომელიც შენ ჩვენგან წაიღე შენი მკლავის ძალით. ახლა უკანვე მოგვეცი ეს ჩვენი ქვეყანა და, როცა წაიყვან ჩემს ასულს ცოლად, მაშინ მისგან მოვცემ ამავე ქვეყანას“. და მისცა მზითვად თავის ქალიშვილს ქვეყანა, მოქცეული ეგრისწყალსა და კლისურას შორის, და სხვა აფხაზეთი უკანვე მისცა ვანტანგმა ბერძნებს.¹⁰

და წამოვიდა ვანტანგი კლარჯეთის გზით, გაიარა თუხარისა, მოეწონა და ეს სახელი დაარქვა, შუა კლარჯეთში, არტანუჯში დაადგინა ერისთავი და უბრძანა ცახის აშენება. აგრეთვე, უბრძანა, გამოენახა იქ სამონასტრო ადგილი და აეშენებინა ეკლესია. არტავაზ ერისთავმა ააშენა იქ არტანუჯის ცახე. და იქვე ააშენეს მონასტერი (არტანუჯის ხეგში), მსგავსი მათ მიერ საბერძნეთში ნახანა მონასტრებისა. ვარდა ამისა, ააშენა ოპაზის მონასტერი და სამი ეკლესია: დაბა მერისა, შინდობისა და ახაზისა, აგრეთვე განაახლა ახაზის ცახე.

მცნეთაში მსულ ვანტანგს ერი დიდი სიხარულით შეხვდა. როცა სპარსთა მეფემ ცნო, რომ ვანტანგი ბერძნებს მიუძნრო, უკანვე გაბრუნდა სპარსეთში და იქ მოკვდა. მეფედ მისი ძე დაჯდა და მის მომწიფებამდე ვავიდა სამი წელი.

ვანტანგის ცოლმა შვა ტყუილები, ძე და ასული. და მოკვდა მშობიარობის დროს ბალენდურტ დედოფალი, სპარსთა მეფის ასული. ვანტანგმა უწოდა თავის ძეს დანი. მაშინ ვანტანგმა ვერ მოიცალა საბერძნეთიდან კეისრის ასულის ცოლად მოყვანისათვის და ვერც კათალიკოსის მოყვანისათვის, რადგანაც მოელოდა სპარსთა შეპოქრას, ამავრებდა ცხეებსა და ქალაქებს. ჰუანმაგდა და ამზადებდა საბრძოლველად მხედრებს. მაშინ შეავდო საზყრობილეში ბინქარან მაცდური, ცეცხლის მსახურთა ეპისკოპოსი, მოსპო და გაყარა ცეცხლისმსახურნი საზღვარგარეთ.

სამი წლის შემდეგ სპარსთა მეფე გამოემართა ვანტანგ მეფესთან საბრძოლველად. ვანტანგმა ამცნო ბერძენთა მეფეს: “აჰა, ის დღე, რომელიც აღვითქვი, რომ სპარსელებს შემოვამწყვდევი შენს ხელში. მოვიყვანე ასინა ქართლის შუა საზღვარზე, მათთან არის 300.000 ჯარისკაცი. სპარსთა მეფე ფიქრობდა თავისი სპის გამრავლებას სომხეთისა და კავკასიის მეფეებისაგან, მაგრამ ვერ ვაბედეს მასთან შეერთება, რამეთუ ზოგიერთ მათგანს ჯვარცმულის სასიუბა აქვს, ზოგიერთი კი ეშმაკმა შეაცდინა (დარუბანდელი მეფეები შეუერთდნენ). მე აღვასრულე ჩემი აღთქმა, რომელიც აღმითქვამს: რამეთუ, სადაც კი ვიპოვე ცეცხლის სახლი, დავაგსე ფსლით, მათი მოგვები და მზირები სატანჯველს მივეცი. მაცდური ბინქარან შევაგდე საზყრობილეში და სიკვდილის შიშით გაიპარა და გაიქცა. სწორედ მან მოიყვანა სპარსელები ქართლში და დავსვი ეპისკოპოსად მიქაელი, სარწმუნო კაცი. ხოლო ბინქარანი, როცა მოუახლოვდა ქართლის საზღვარს, მოკვდა. ახლა სასწრაფოდ გამოემართოს ჩვენკენ შენი სპა, რათა აქ დასცეს ჯვრის ყველა მტერი, და შენ ვათავისუფლდე ყველა მტრისაგან, ხოლო თუ ჩვენ გვძლევენ სპარსელები, შემოვლენ შენს საზღვრებში“.

კეისარი ნაზარეთში იყო წასული, ამიტომ ვერ შეძლო ქართლში მოსვლა. ვანტანგმა გააძლიერა ქალაქების ცხეები და ურჩეულებსი მებრძოლები, 100.000 მხედარი და 100.000 ქვეითი თავისთან დაიტოვა. დაიბანაკა დიდმიდან „ქართლის კარამდე“ (არმაზამდე), და სპარსელებმა დაიბანაკეს „ცხენის ტერფის“ (დიდუბესთან) ქვემოთ. სპარსელები და ქართველები ერთმანეთს ებრძოდნენ არმაზსა და მცხეთაში თბილისის ფონამდე.

ხოლო ვანტანგ მეფეს ენურა ოქროს ჩაბაღასი, რომლის წინა მხარეს გამოსახული აყო მგელი და უკან ლომი. რომელ მხარესაც ქართველები მარცხდებოდნენ, აქით მიემართებოდა და სზობდა სპარსელების სპას, როგორც ლომი კანჯარს. სპარსელები ვერ უძლებდნენ მის ბრძოლას, დაიძახნოვნენ ის, რომელსაც მგელი და ლომი ჰქონდა გამონატული და როცა ვანტანგს ანილაგდნენ, ამბობდნენ: „ღურ აზ გორგასალ“, ანუ „მოყრიდეთ მგლის თავსო“. ამის შემდეგ სახელად ეწოდა მეფეს გორგასალი. ოთხ თვეს გაგრძელდა ბრძოლა. მოვიდა კეისრისგან დასანმარებლად 80.000 მხედარი. კეისრის ბრძანებით, თუ ვანტანგს დასჭირდებოდა, უნდა დახმარებოდა ბერძენი მხედართმთავარი ლეონი თავისი ჯარით.

ბერძენთა ლაშქარი ჯავახეთში აყო შემოსულია, როცა შეატყო სპარსთა მეფემ მათი შემოსვლა. დააწყო მოლაპარაკება ვანტანგთან: „რისთვის ვწყვეტო ერთმანეთს? ძმები ვართ, დავდგეთ ჩვენი მამების სიყვარულზე და თითოეული ჩვენგანი თავის სათნო სულს ემსახუროს“. დათანხმდა ვანტანგი სპარსთა შემონათვალს და მოცაქულის პირით უთხრა: „ჩემს ღმერთად აყოს ქრისტე, ხოლო შენ ვაწოდებ მამას და უფალს“.

სპარსთა მეფემ შეაწყნარა ვანტანგის სიტყვა და გაუგზავნა ძღვნად ანთრაკის გვირგვინი. შენგდა ერთმანეთს ორი მეფე. დადეს აღთქმა, რომ თავ-თავის რჯულზევე დარჩებოდნენ. უძღვნა ვანტანგმა სპარსთა მეფეს მრავალი საჩუქარი. და თხოვა, რომ მშვიდობა ყოფილიყო მასსა და კეისარს შორის: „მნებაგს, რათა აყოს მშვიდობა შენ შორის და კეისრისა“. სპარსელებმა მშვიდობის ნაცვლად მოითხოვეს ამ მსწების დაბრუნება, რომელნიც ბერძენებს სპარსელებისგან ჰქონდათ მატაცებული. დათანხმდა ამ წინადადებას ბერძენთა მხარე.

ბერძენები და სპარსელები დაზავდნენ, განაჩინეს საზღვრები, მისცეს ბერძენებს ჯაზარი და ფილისტიმი აერუსალიმთან ერთად და სპარსთა მეფემ თქვა: „ქალაქი რჯულისა თქვენისა არის აერუსალიმი“.

სპარსთა მეფემ ჯაზარისა და ფილისტიმის გაცემის სანაცვლოდ, ვანტანგს სთხოვა, მიეთხოვებინა ცოლად თავისი და და, აგრეთვე, გაჰყოლოდა საომრად აბაშთა, ელაბელთა და ჰინდოთა წინააღმდეგ. მისცა ვანტანგმა სპარსთა მეფეს ცოლად თავისი და მირანდუხტი,

რომელიც ოსებისგან იყო დატყვევებული და გამოიხსნა ვანტანგმა. მოიყვანა თავისი ძე დაჩი, რომელიც იყო სუთი წლისა. დაადგა გვირგვინი და დატოვა მეფედ და დატოვა მასთან თავისი შვიდი წარჩინებული: ბირველად ჯუანშერ სპასპეტი, შიდა ქართლის და ყოველთა ერისთავთა მპყრობელი და დემეტრე ერისთავი კახეთისა და კუხეთისა, ვრიგოლ ჰერეთის ერისთავი, ნერსარანი, სუნანის ერისთავი, ადარნასე სამშვილდის ერისთავი, სამნადირი, შიგა ეგრისისა და სვანეთის ერისთავი, ბაგურა, მარგვისა და თაგვერის ერისთავი. წაიყვანა თან არტაგაზი, კლარჯეთის ერისთავი, ნასარი, წუნდის ერისთავი და ბივრიტაიანი, ოძრხის ერისთავი და დიდი ეჯიბი საურმაგი. მათთან ათი ათასი რჩეული მხედარი. ვანტანგს შეეკედრნენ დედა და მისი და სურანძე, რათა თან წაეყვანათ აერუსალიმში სალოცავად. წაიყვანა ისინი. შევიდნენ აერუსალიმში, ალოცეს წმიდა აღდგომის ტაძარში, მოილოცეს ყოველი წმიდა ადგილი, შეწირეს დიდი შესაწირავი და წავიდნენ ქალაქ ანტიოქიაში, სადაც მათ ელოდა ხოსრო. აქ სპარსთა მეფეს კეისრისგან მართოვეს მიუწვდომელი ძღვენი, ასევე ვანტანგს ვანძი. შეიკრიბა იქ ვანტანგის ბრძანების ქვეშ 50.000 მხედარი ქართველი, ბერძენი და სომეხი. აქედან წავიდნენ სპარსეთში. ბაღდადში გადაიხადეს სპარსთა მეფისა და ვანტანგის დის ქორწილი. ქორწილის შემდეგ დედა და და წავიდნენ ქალაქ ურაჰში, სადაც უნდა დალოდებოდნენ ვანტანგს.

ბირველად ვანტანგმა და სპარსელთა ლაშქარმა წარტყვევნეს ჯორჯანეთი და იქ დაემკვიდრნენ სპარსელები. სამი წელი აბრძოლეს ანდოეთში. ანდოეთის ქვეყნების უმრავლესობა წარტყვევნეს. წამოიღეს ხარკი. აქედან შევიდნენ სინდეთში, რომლის მეფე იყო მხნე და გოლიათი. მოკლეს აქ საურმაგი, ვანტანგმა შეუტია სინდელებს და მათ შეასწირეს ქალაქის კედლებში. მაშინ სინდთა მეფე გამოდგა ქალაქის კარზე და ხმამაღლა უთხრა ვანტანგს: „ვანტანგ მეფეო, მსგავსი ხარ შენ იმ უგუნური ყვავისა, რომელმაც აბოვა არწივისაგან დაწყლულებული და დაგლეჯილი ქორი, რომელსაც აფრენა არ შეეძლო და სიკვდილს იყო მიახლოვებული. ყვავმა არ ქმნა ასე, როგორც არის ყვავების წესი, რამეთუ ყვავი როცა ახლაგს ქორს, იწყებს ხმამაღლა ყივილს, შეასმენს სხვებს და ყვავების სიმრავლე დაესმება ქორს, რათა გააგდონ თავიანთი სამე-

ოფელიდან და უმისრად გაატარონ თავიანთი დღეები, რამეთუ პირუტყვებმაც იციან თავიანთი თავის სარუებელი.

არ ქმნა ყვაავმა ასე, არამედ შეიწყალა ის ქორი. დატოვა გამოსაყვებად თავის ბუდესი, მარად აჭმევდა მკალსა და გველს, რამეთუ სხვისი შეპყრობა არ შეუძლო და მით აცოცხლებდა ქორს. როცა ქორს ფრთები გაეზარდა, თქვა თავის გონებაში: „აი, მრავალი დღის მანძილზე ვარსებობდი მკალსა და გველს ჭამით და არ მომეცა მე ჩემი დედისა და მამის ძალა, რამეთუ მკალით ვერ ვავძლიერდები, რომ შევძლო ფრანველთა მიწევა და მათი ჭამით არსებობა. სჯობს, შევიპყრო ის ყვაავი, ჩემი გამზრდელი, შევჭამო და ორი დღე დავისვენო: მომეცემა ძალა და დავისწევ წესისამებრ ნადირობას, მსგავსად ჩემი წინაპრებისა“. აღასრულა ეს. შეიპყრო ყვაავი და შეჭამა. ამის შემდეგ დაიწყო ნადირობა დიდ და სწრაფ ფრანველებზე. არ შეაქეს ყვაავი თავისი მოწყალებისთვის, არამედ უგუნურად და თავისმკვლელად ჩათვალეს. არც ქორს დააყვედრეს უწყალოება და კეთილის უხსენებლობა, რამეთუ ეს არის გვარი და წესი ქორისა. განილეოდა და მოკვდებოდა მკალის ჭამით. ქმნა წესისამებრ და აიცლია საკვდილი. ხოლო ყვაავი წესისამებრ არ მოიქცა და მოკვდა.

სპარსელები, რომლებიც (დღემდე და დღეის შემდეგ უკუნისამდე) ჯვარისმსახურთა მტრები არიან, ამჟამად, უღონობის გამო, ლიქნით სიყვარულს გაჩვენებენ და როგორც კი დრო მიეცემათ, კეთილს აღარ გასხსენებენ და უწყალონი აქმნებიან. ეს ბეგრჯერ ვიცით წიგნებიდან. როცა იხილე სპარსელები, ჩემს მიერ დაკნინებულს, არ გაიხარე, ღმერთის მადლობა არ შეწირე, არ აღაფხნე მტრები სპარსელების წინააღმდეგ და არ შეეწიე სპარსეთის მტრებს, ეს არ ვააეთე, არამედ დაგატოვებია შენი მამათა საყოფელი, საქრისტიანოს დიდ სპას წინამძღვრობ, ორი წლის ვზა გამოვივლია და სპარსელებს აძლიერებ, რათა გაძლიერდნენ, მოაღწიონ და წარგწყმიდონ შენ და შენი ქვეყანა, რომელსაც დაიპყრობს ჯვარისმსახურების წარსაწყმედელად. მეფე ხარ თვითმპყრობელი და ახოვანი, შენი ნებით მიგცემა თავი შენი მტრების მონად და როგორ არ გაწოდო უგუნური?“

ვანტანგმა უთხრა: „შენ გეგონა სიბრძნით თქვი, მაგრამ შენი სიტყვები არიან ცრუ. თხუნილა, რომელსაც არ ასხაა თვალები და

მზის ბრწყინვალეობა და ველთა მშვენიერება არ იცის, თუ რა არის, თავდაჯერებული ცხოვრობს მისი ქვეშ და ჰგონია, რომ ყოველი ცოცხალი არსების ცხოვრებაც ასევეა მოწყობილია. თუნუელას მსგავსად შენც ბრმა ხარ გონების თვალთ და ყრუ გონების ყურით, არ ხედავ და არ გესმის სულიერი ცხოვრება და არც სურვილი გაქვს მისგანვე საუკუნო ცხოვრებამდე და დაუსრულებელ ნათლამდე. მის გონებით მიუწვდომელ დიდებამდე. და არც იცნობ შენ ყოველივეს შემოქმედ ღმერთს, რომლის მიერ შეიქმნა ყოველივე.

ამ ქვეყანაში მოგედი არა ამ სოფლის დიდებისთვის და არა სპარსთა მეფის მსახურებისთვის, არამედ დაუსაბამო ღმერთის მსახურებისთვის. რამეთუ ჩემი აქ მოსვლით პირველ რიგში გამოვიხსენი იერუსალიმი – წმიდა ქალაქი, სადაც დადგმულა ფენა ჩვენი უფლისა იესო ქრისტესი, იქ აღასრულა ყოველივე ჩვენი სულების ხსნისთვის, და ამის შემდეგ ყოველი საქრისტიანო დავისხენა მოთხრობისგან, რამეთუ სპარსთა მეფეს მინიჭებული ჰქონდა ჟამი მთელი საქრისტიანოს მოტყვევებისათვის. მე ჩემი ძალით და ქრისტეს შეწევნით დავისხენა ქრისტიანები დიდი ჭირისგან ამ ჟამს და ამის შემდეგ ღმერთმა იცის.

შენ აქებ ქონს, რომელმაც თავისი გამზრდელი ყვავა შეჭამა, აქებ მის ნაქმნარს, ხოლო ჩვენი ბუნება ასეთია, რომ ჩვენი კეთილსმყოფელისათვის დავდვით ჩვენი სული, რათა მოვიგოთ მადლი ღვთისაგან და ვპოვოთ ცხოვრება საუკუნო და თუ მოგვედებით, უკვდავნივე ვიქნებით და სიკვდილის მიერ საუკუნო ცხოვრებაში ვარდავიცვლებით“.

მაშინ თქვა სინდთა მეფემ: „გამოდი ჩემთან საბრძოლველად, რათა ჩემს მიერ ვარდავიცვალო დღეს სიკვდილის შემდეგ საუკუნო ცხოვრებაში“.

თქვა ვახტანგმა. „ახლანდელი სიკვდილი არ მიჩნის სხანრულად, რამეთუ ცოდვილი ვარ და ღმერთის მცნება სრულად არ აღმისრულებია. ჩემი ცოდვები სრულად არ აღმიხორცია სინანულით, მაგრამ ქრისტეს ძალით არ მეშინია სიკვდილის, რამეთუ ის არის ჩემი მფარველი და დაცული ვარ სრულებით, მრავალმოწყალებე ღმერთი, ჩემი ხელით მოგვლავს შენ, მის შემობუღს და შენი სული წავა ვარსკენელის ბნელში და უშრეტ ცეცხლში“. შეებრძოლნენ ერთმა-

ნეთს. დაამარცხა ვანტანგმა და არ მოკლა, არამედ აიღო მისგან ხარკი და მძევლები.

ამის შემდეგ სპარსთა მეფემ და ვანტანგმა დაამარცხეს აბაშნი. სპარსთა მეფემ აბაშთა ნახევარი აჰყარა და სხვა ქვეყნებში ადგილ-ადგილ დაასახლა. ესენი არიან ქურთები, რომლებიც წარმოტყუენა ვანტანგ მეფემ აბაშთაგან.

მერვე წელს უკან დაბრუნდა ვანტანგი და მივიდა ქალაქ ურაჰში, სადაც მშვიდობით დახვდნენ დედა და დაი მისი. გაგზავნა ბერძენთა მეფესთან მოცაქეული ცოლის წამოსაყვანად და აგრეთვე პეტრე კათალიკოსისა და სამოელ ეპისკოპოსისათვის. შემოვიდა ვანტანგი ქართლში და მიეგებნენ მას მისი ძე დაჩი, ყველა სპასალარი და მათთან ერთად ეპისკოპოსები. როცა გაიგო ეპისკოპოსმა, რომ ვანტანგმა გაგზავნა მოცაქეულნი კათალიკოსისა და ეპისკოპოსების მოსაყვანად, დაუძძადა ეს და იწყო ამბოხი და მიზეზობა. მიუგზავნა მეფეს კაცი და უთხრა: „შენ დაგიტოვებია ქრისტი და ცეცხლს ესაგ“, ვანტანგმა შეუთვალა: „ქრისტეს ძალით შეგედი და ქრისტეს ძალითვე გამოგედი სიძარით, უბრალო ვარ, იცის ღმერთმა, მაგრამ გაგაგზავნე მოცაქეული კათალიკოსისა და ეპისკოპოსის მოსაყვანად“. როცა ეს მოისმინა ეპისკოპოსმა და დაიდასტურა, იფიქრა, შფოთით დაეპოვებინა ეს საქმე და მათი მოსვლა. დაწყევლა მეფე და ყოველი სპა მისი. მეფემ თქვა: „მართალია, ჩვენ უდანაშაულონი ვართ, მაგრამ სიმდაბლე ჯერ არს ჩვენგან“. და მივიდა მეფე, ჩამოქვეითდა, რათა მთხვეოდა ეპისკოპოსის ფეხებს. გაძრა ფეხი, ქოშის ქუსლი პირში ჩაარტყა და მეფეს კბილი ჩაუძვრია. ხოლო მეფემ თქვა: „ეს არის ამპარტაგნობის სილაღე და ეშმაკის საცდურა. თუ ჩვენს ცოდვების სიმრავლემ აღძრა, ნება არა გაქვს ბოროტების გაკეთებისა, არამედ უნდა შეუნდო, როგორც იტყვის სახარება: „არა დაშრიტო პატრუქი მზებარე, არცა განტეხო ლერწამი დაჩეჩქელი“. შენ გეონია, რომ შენი სიყვარავით ჩვენ ქრისტეს სიყვარულს უარვეყოფთ. შენი საქმე მაშინ გამოჩნდა ცხადად, როცა მოგესმა შენზე უმთავრესის საქართველოში მოყვანა და აღევნე ბოროტი შურით, როგორც იუდა პეტრეს მიძარით, რამეთუ შენ ხარ როგორც იუდა, ხოლო ეკლესია არის როგორც პეტრე. ვერცხლის მოყვარე ხარ შენ, რამეთუ შენც ქრისტეს მეგ-

გადრუცე¹² ხარ. ახლა გაგზავნი კონსტანტინოპოლის პატრიარქთან და როგორც წესია, განგიკითხავს“. გაგზავნა დესპანებთან ერთად და გაგზავნა თავისი კბილიც და შეუთვალა, რომ კათალიკოსი და თორმეტი ეპისკოპოსი სასწრაფოდ გამოეგზავნა. მათ შორის პეტრე კათალიკოსად და სამოელე ეპისკოპოსად, და სხვები, რომელნიც სურდა.

როცა მოყვანეს მიქაელ ეპისკოპოსი კონსტანტინოპოლში, უთხრა მას პატრიარქმა: „რადგანაც შენს მიერ დაითხია სისხლი, აღარა ხარ ღირსი ეპისკოპოსობისა, ხოლო მეფის კადრებისათვის გეკუთვნის სიკვდილი. ნათქვამია: „დაემორჩილეთ თქვენს მეფეებს, რამეთუ ნმალი უბრალოდ არ აბიათ, ის ღმერთის მიერ მთავრობს, როგორც ლომი ცხვრებს შორის“. და ექსორიაში გაგზავნეს მიქაელ ეპისკოპოსისი მღვდძართა მონასტერში.

გაგზავნა პეტრე მღვდელი და სამოელე მონაზონი ანტიოქიაში. და მისწერეს ანტიოქიის პატრიარქს მეფემ და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ასე: „თავდაპირველად, რომაელი ქალის ნინოს მიერ ქართლის მოქცევის დასაბამისას, აქედან აქ მივლენდლ იქნა ეპისკოპოსი. მაგრამ შეძდეგ, რადგანაც სპარსელებსა და ბერძნებს შორის შფოთი იყო, ვერ მოაწყეს ეს საქმე წესისამებრ. ამასთანავე, ჩვენ ვიცით, რომ ქართლი, აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი მაგ წმიდა საყდრისანი არიან, როგორც განაწესეს მოცაქელებმა სახარებაში, რომელიც უწინარეს უნდა დაფიცვათ“. და ანტიოქიელს მისწერეს ყოველი საქმე დიდა ვანტანგ მეფისა, რომ „ის ეპისკოპოსი, რომელიც მათ მიერ იყო დადგანებული, უკუვაგდეთ, და ჩათვალეთ ქართლი ახალნერგად.¹³ ახლა ეს ორი, მათ მიერ მითხოვილნი, აკურთხე და აგრეთვე სხვა თორმეტი, ვისაც ისურვებ, ისინი აკურთხე. შეძდეგ კი ჩვენთან გამოგზავნე, რათა ჩვენ განძითა და სახმარო ნივთებით გავამგზავროთ“. და ანტიოქიელმა პატრიარქმა აკურთხა თორმეტი ეპისკოპოსი და პეტრე კათალიკოსად.

მისგანდენ კონსტანტინოპოლში, მისცა კეისარმა დიდძალი განძი და თავისი ასული ელენე, ვანტანგის საცოლე. საზღვარზე მათ შეეგება მეფე.

მცნეთაში ვანტანგ მეფემ ააშენა მოცაქელთა ეკლესია სვეტიცხოველი. ამ ტაძარში საძმრეთით იმ ადგილას, სადაც იყო სიონის

დიდი ეკლესია, დასვა პეტრე კათალიკოსად. ხოლო სამუელი მცნ-
ეთაშივე დასვა ეპისკოპოსად „საეპისკოპოსოში“.¹⁴ და დასვა სხვა
ეპისკოპოსებიდან ერთი ეპისკოპოსი კლარჯეთს, ანაზის ეკლესიაში,
ერთი ერუშეთს არტანუში; ერთი ჯაფანეთს – წუნდაში, ერთი მანგ-
ლისში, ერთი ბოლნისში; ერთი რუსთავში; ერთი ნანოწმიდაში –
უჯარმის კართან, რომელიც გორგასალმა ააშენა. ერთი მისსავე
აშენებულ ჭერეშში და აქ დააარსა ქალაქი მისგანვე აშენებულ ორ
ეკლესიას შორის; ერთი ჩელეთში („შუა სოფელში“), ერთი ხორნ-
აბუჯში და ერთი აგარაკში, რომელიც ხუნანის პარდაპარაა.

ამის შემდეგ ააშენა ერთი ეკლესია ნაქოწში ცეცხლის საგნე-
ბელთან და დასვა აქ ეპისკოპოსი, სადაც დაფლულია წმიდა რა-
ფდენის გვამი, რომელიც სპარსთა მიერ იწამა.

ეს რაფდენი იყო მამამძუძუ ვანტანგის ცოლისა (რომელიც
პარველად მოიყვანა, სპარსთა მეფის ასული), გაქრისტიანდა ის და
შეაქნა დიდად მორწმუნე, ხოლო ბრძოლისას ძლიერი. შეაპყრეს
სპარსელებმა და აძულებდნენ, რომ უარეყო ქრისტიკე, ხოლო ამ
წმინდანმა აღიარა წარუვალი დიდება და იწამა ქრისტიანობის.

ჰყავდა ვანტანგს ბერძენი ცოლისგან სამი ძე და ორი ასული.
მან თავისი პარველი ცოლის ძეს, თავის პარმშო დაჩის მისცა
ქალაქები ჭერეში, ნეკრესი და კამბეჩოვანი, რომელიც არის ხორ-
ნაბუჯი, და მთელი ქვეყანა მტკვრის აღმოსავლეთით. თვით ვან-
ტანგი დაჯდა უჯარმაში და ააშენა ის უზომო ნაშენებით. და
თავისი დაი სუარანძე მისცა სომხეთის პიტაანშს ბაკურს და რამ-
დენამე ხნის შემდეგ მოკვდა სპარსთა მეფე ხოსრო და მის წილ
დაჯდა ძე მისი ხოსრო. ამ დროს გაძლიერებული იყვნენ სპარსელები
(ვანტანგის მეოხებით ყველა მტერი დამორჩილებული ჰყავდათ,
და გამოემართა სპარსთა მეფე ბერძნების წინააღმდეგ საბრძოლვე-
ლად. მოცაქული გამოუგზავნა გორგასალს და შეუთვალა გაეწია
წინამძღოლობა ბერძენთა წინააღმდეგ ომში და მიეცა ასული
ცოლად.

მაშინ ვანტანგი მიწული იყო 60 წელს და თქვა: „უთხარით
მეფე ხოსროს: პარველად განემზადოს ჩვენთან საბრძოლველად
და შემდეგ შევიდეს საბერძენეთში“.

გაგზავნა ქადაგი, რათა ენს დაეტოვებინა ის სოფლები და
ქალაქები, რომლებიც ძლიერნი არ იყვნენ და შესულიყვნენ კავკა-

სიასა და კახეთში, რამეთუ კახეთი ტყე იყო და მტრის მიერ შეუგალი. მეფე დარჩი და მისი დისწული გადავიდნენ კახეთში და დადგნენ ლობოტის ხევში, კლდით მოხლუდულ ქვეყანაში (და იყვნენ იმ ქვეყნის ადამიანები ცეცხლისა და წყლის მსახურები და ის ხევა, ვადრე ნოსრამდე, ხალხით იყო საფსე). შუვიდნენ გორგასლის ცოლი და შვიდნი - უჯარმის ხევში. წინა ცხენში თვითონ დადგა, მასთან იყვნენ ჯუანშერი და ადარნასე. ხოლო მცხეთაში დემეტრე, ნენსე და ბივრიტიანი. გაუფზაგნა მოციქული კეისარს.

მოვიდა ხოსრო მეფე და შექუსრა ქალაქი კამბეჩოვანი, ჭკერმის ცხენე და ველისცხენე. მივიდნენ კახეთში და დაიბანაკეს იორხე. შეიბნენ, აბრძოდნენ სამი დღე. ორივე მხრიდან ურისცხვი სპა დაეცა. მაშინ ვახტანგმა უხმო პეტრე კათალიკოსის და უთხრა: „იცოდე, რომ გვებრძვიან არა ხარკის მიცემისათვის, არამედ ქრისტიან დატევიებისთვის. მე განზრახული მაქვს ასე: საუკუნო ცხოვრებისათვის უმჯობესია არის ქრისტიან სახელზე სიკვდილი, რათა აღთქმული სასუფეველი გვექონდეს მათთან, რომელთაც უთხრა: „რომელიც წარსწყმედს თავის თავს ჩემთვის, ის ახოვს მას“.

უთხრა მას პეტრე კათალიკოსმა: „თუ არ აბრძოლებ საშვედრო სასიცოცხლოდ, მაშინ არა მარტო საქართველო გაიწყვება მტრის მიერ, არამედ იერუსალიმიც, რომელიც არის მშობელი ნათლის შვილებისა“.

უთხრა მას მეფემ: „დადექი წმიდა რაფინის ეკლესიაში, რომელიც არის უჯარმის რაბატში. ვეჭვობ, რომ უჯარმის გარშემო ყველა ქალაქი იძლიოს, რამეთუ მტკიცე და ძლიერი ზღუდეები აქ ავაგეთ“. ჰყო ასე კათალიკოსმა და ყველა წმინდა ეპისკოპოსი იქ შეიკრება.

ვახტანგის ლაშქარში იყო 240.000 მეზრძოლი, ხოლო სპარსელებსაში - 740.000. გაჰყო ვახტანგმა ლაშქარი სამად. და კლდის მხრიდან მიაფზაგნა ქვეითი. ერთ მხარეს მიაფლანა პიტაიანები და სპასპეტი, და სადაც სპარსთა მეფე იყო, იქ თვით ვახტანგი მივიდა 100.000 მეომრით.

ცისკარზე ვახტანგი დაესხა სპარსელებს და უთხრა თავისიანებს - „ყოველი კაცი, რომელიც სიკვდილს გადაურჩება და მტრის თავს ან ხელს არ გამოიტანს ბრძოლიდან, ჩვენს მიერ მოკვდება“.

ცისკრის მიწურვისას ვახტანგი დაესწა და მივიდა მეფის პალატამდე. შევიდა მეფის კარავში. მეფემ შეასწრო ცხენზე. ძე მისი ბარტამ მოკლა და მოჰკვეთა თავი. მაშინ იქ ერთმა სპარსელმა სცა ისარი ვახტანგს მკერდში. ბრძოლა გაგრძელდა შუადღემდე. სძლია ვახტანგმა სპარსელებს და მოკლა 120.000 მათგანი. ვახტანგის სპასი-გან მოკვდა 28.000-მდე. აიყარა იქიდან სპარსთა მეფე და ჩაღვა რუსთავში. დაუძძმდა წყლული ვახტანგს, რამეთუ ფილტვამდე იყო ისარი მიწეული. და წავიდა უჯარმაში, ხოლო ქართლის სპასი-არეზი ადგილსავე დარჩნენ.

სცნეს სპარსელებმა, რომ დაუძძმდა ვახტანგს წყლული, მოაოხრეს ტფილისი და არმაზი (ქართლი), ხოლო მცხეთა ვერ დაიპყრეს, მაგრამ ზღუდის გარეთ მოაოხრეს.

ხოლო ბერძენთა მეფე, ვახტანგის სიმამრი, მოკვდა და დაჯდა მეფედ ზენონი, მისი ძე. ის მოვიდა სპერში, ქართლში რომ შესულიყო, და როცა ვაიგო ვახტანგ მეფის დაჭრის შესახებ, დადგა კარნუ ქალაქში. იქ მოვიდა ხოსრო და შეიბნენ. ვერ სძლიეს ერთმანეთს, რადგან ორთავეს სპა დაეხოცა.

ვახტანგმა შეიტყო, რომ კვდებოდა, მიუხედავად კათალიკოსის და თავის ცოლის, ძეებისა და ყველა წარჩინებულის და თქვა: „მე მავღვივარ ჩემი ღმერთის წინაშე, და ვმადლობ მას სახელს, რომ არ დამაკლო მე მის საწმინდეებს. ანლა მცნებას მოვცემთ თქვენ, რომ მტკიცედ დადგეთ სარწმუნოებაზე, ეძიებდეთ ქრისტიანთა სიკვდილის მის სახელზე, რათა წარუგალი დადებო მოიგოთ“.

და უთხრა ყველა წარჩინებულს: „თქვენ, ქართლის მკვიდრნო, მოისხენეთ ჩემი სიკეთე, რამეთუ პირველად ჩემი სახლიდან მიიღეთ საუკუნო ნათელი და ჩვენ სახლს ნუ შეურაცხყოფთ და ბერძენთა სიყვარულს ნუ დაუტყვებთ“. და უთხრა თავის ძეს დარჩის: „შენ ხარ ჩემი პირველი შვილი, შენთვის მომიცია ჩემი მეფობის გვირგვინი. შენი ძმების ნაწილად მიმიცია ტაშისკარიდან და წუნდიდან, ვიდრე სომხეთამდე და საბერძნეთამდე, ხოლო აფხაზეთის საზღვარი, ეგრისწყალსა და კლისურას შუა, შენი ძმების დედის არის.“¹⁵

და მოუხმო წუნდის ერისთავს, კლარჯეთის ერისთავს არტავაზს და ოძრხის ერისთავს ბივრიტიანს და მათ ჩააბარა თავისი ცოლი ელენე და მისი შვილები, რომელთაც ერქვათ ლეონი და მარდატი. და სამივე ერისთავს შეაგვიდრა ცრემლით.

მთელი ხალხისა და წარჩინებულებისთვის ეს იყო სასჯელის დღე. თავში იცემდნენ და იყრდნენ ნაცარს, ყველანი ნატრობდნენ საკვდილს. სმაძალა ტარილისა და გოდებისგან ქვეყანა იძროდა. მორწმუნე ხალხი შენატროდა მეფეს, რამეთუ ქრისტესთვის მოიგლა. და მოკვდა ვახტანგ, დაფლეს მცხეთას, საკათალიკოსო ეკლესიაში, სვეტთან, რომელშიც არის ღვთივადმართული სვეტისგან დაპყრობით. საფლავზე გამოხანულია მისი ხატა, მისი სიმაღლის თანასწორი. ხოლო ამჟამად შემონახული მისი აბჯარი და სამოსელი უფრო ნათლად წარმოგვიდგენს მას.

და დაჯდა მის ტახტზე მისი ძე დანი. ხოლო ცოლი და ვახტანგის ორი ძე წაიყვანა სამმა ერისთავმა, დაიჭირეს ქართლის დასავლეთი, რომელიც მისცა მათ ვახტანგმა. ზაფხულობით ქალაქ წუნდაში იყვნენ და ზამთრობით ოძრხეში. მათ ეწოდათ არა მეფეები, არამედ ერისთავთა მთავრები და იყვნენ მეფე დანის მორჩილების ქვეშ.

მეფე დანიმ დაიწყო ქართლის შენება, რამეთუ მოთხრებული იყო ყველა ხევი ქართლისა, გარდა კახეთის, კლარჯეთისა და ეგრისის ხევიებისა. განასრულა თბილისის ზღუდეები, როგორც ბრძანა ვახტანგმა და ის შექმნა სამეფო სახლად.

მოკვდა პეტრე კათალიკოსი და დაჯდა სამოელ. და მეფემ მას მათოვალა მცხეთა, რამეთუ ასე ბრძანა ვახტანგმა. ამანვე მეფე დანიმ კახეთის მთიულებს შესთავაზა ქრისტეს აღიარება, ხოლო მათ არ ანებეს და განდგნენ ყოველნი ნაპატკელნი.¹⁶

ვახტანგის ბერძენი ცოლის შვილებიდან მოკვდა ლეონი და დარჩა მხოლოდ მირდატი. ამ მირდატს დაევაჭრა მისი ძმა დანი: მეფემ გუცვალა ქვეყანა. მეფემ აიღო ის ქვეყანა, რომელიც მოქცეული იყო ეგრისწყალსა და კლისურას შორის. ეს იყო მირდატის დედუღეთი საზღვარი საბერძნეთის სამფლობელოებთან. მის ნაცვლად მისცა ჯავახეთი ფარაგნიდან მტკვრამდე. დაიჭირა მირდატმა ქვეყანა ფარაგნიდან და ტაშისკარიდან, ვიდრე სპერის ზღვამდე და აქ ერისთავობდა და მორჩილი იყო მეფე დანის. მან ააშენა წყაროსთვის ეკლესია. მოკვდა დანი. დანის შემდეგ, გამეფდა მისი ძე ბაკური. ბაკურის საკვდილის შემდეგ, დაჯდა მისი ძე ფარსმანი. მოკვდა კათალიკოსი სამოელი და დაჯდა კათალიკოსად თავფეჩაგი. მისი საკვდილის შემდეგ დაჯდა კათალიკოსად ჩერმაგი.

ვანტანგის შექმდგომ აქამდე ეს მეფეები მშვიდობით იყვნენ. ამ ფარსმანის მეფობისას მოვიდნენ სპარსელები, მოაონრეს ქართლი და რანა. ქართველთა მეფემ ითხოვა სპარსთა მეფისგან, არ მოეონრებინა ეკლესიები და დაეჭარა ქართლი ქრისტეს რჯულზე.

ამ დროს ბერძნები მოუცლელეები იყვნენ. თავიანთი ქვეყნის დასავლეთში მტრებს ებრძოდნენ. არ შეეძლოთ ქართველთა შეწევნა და სპარსთა წინააღმდეგ გამოსვლა. მაშინ სპარსთა მეფემ შეისმინა მისი ვედრება და დაიცვა ეკლესიები. ფარსმანმა სამაგიეროდ დაუწერა მორჩილებისა და მსახურების აღთქმა. და წავიდა სპარსთა მეფე.

ამის შემდეგ გაიყვნენ ვანტანგ მეფის ნათესავები. დაჩის შვილები სპარსელებს ემორჩილებოდნენ, ფარსმანის სიკვდილის შემდეგ, დაჯდა მეფედ მისი ძმისწული, რომელსაც ფარსმანივე ერქვა.

ის იყო მორწმუნე და შეამტო ეკლესიები.

ითხოვეს იუსტინიანესგან¹⁷ ქართველებმა, რათა კათალიკოსებად თვით ქართველები დამსხდარიყვნენ, რამეთუ კათალიკოსები საბერძნეთიდან მოდიოდნენ. იუსტინიანემ დაწერა თანხმობის წიგნი და დაბეჭდა თავისი ბეჭდით, რათა კათალიკოსებად ქართველები დამსხდარიყვნენ და ჰქონოდათ მათ უფლება ყველა ეკლესიაზე და ყველა მღვდელმთავარზე.

მოკვდა კათალიკოსი ჩენმაგ და ფარსმან მეფემ დასვა საბა. ამის შემდეგ აღარ მოყავდათ კათალიკოსი საბერძნეთიდან, არამედ ქართველები სხდებოდნენ, წარჩინებულთა ნათესავები.

შენიშვნები

1. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 139-207 გადმოღებულია ძველი ქართულიდან ახალ ქართულზე ჩვენს მიერ (მიტროპოლიტი ა. ჯაფარიძე).

2. იგულისხმება ჰუნები, ალანები და სხვადასხვა ჩრდილოეთის ტომები, რომლებიც იმ დროს აწყობდნენ ლაშქრობებს დასავლეთ ევროპაშიც კი.

3. „ქართლის სამეფოს“ დასავლეთი საზღვარი გადიოდა მდინარე ეგრისწყალზე. „ეგრისწყლის ქვემოთ“ ანუ ამ მდინარის იქით მარჯვენა სანაპირო ქვეყანა „აფხაზეთი“ შედიოდა ბიზანტიის იმპერიაში, ანუ „ბერძნების“ ქვეყანა იყო. ვახტანგის დროს ბიზანტიელებმა გადმოლახეს ქართლის სამეფოს საზღვარი მდ. ეგრისწყალზე და დაიპყრეს ქართლის მიწა-წყალი ეგრისწყლიდან ვიდრე ციხე-გოჯამდე.

4. თერგი.

5. „დაიმორჩილა... მეფის ბრძანების გარეშე“ – ეს ადგილი გვიანდელი ჩანართია, გვ. 156.

6. ვახტანგმა გაათავისუფლა ბერძნებისგან ქართლის ტერიტორია ციხე-გოჯიდან ეგრისწყლამდე და აგრეთვე აფხაზეთიც, რომელიც ბერძნებს ჰქონდათ დაპყრობილი. ვახტანგი აფხაზეთში შევიდა ჩრდილოკავკასიის გზით, ოსების დამარცხების შემდეგ.

7. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 171; ვახტანგი გულისხმობდა, რომ ამ დროის ქრისტიანობა პრობერძნული მიმართულებისა არ ყოფილა, არამედ აღმოსავლური ორიენტაციისა. თვით სპარსელთა შორისაც კი ყოფილან ქრისტიანები. „დაღათუ აწ შენ მიგცნე სპარსნი, არა უკუე განცრუვდესა სახელი ჩემი? და უმეტეს ჩუენსა აქუს მრავალთა მათგანთა სიყუარული ქრისტესი, არამედ შიშისაგან ვერ გამოაცხადებენ“.

8. იგულისხმება ქართლის სამეფოს ის მიწები, რომლებიც ქართლს ჩამოაჭრა საბერძნეთმა ჯერ კიდევ ვახტანგამდე, მეფე ვარაზბაკურის დროს – კლარჯეთი.

9. მდინარე ყუბანი.

10. ოსების ლაშქრობის შემდეგ ვახტანგმა „ბერძენთა ქვეყანა“ ანუ აფხაზეთი აიღო და თვითონ დაიჭირა. შემდეგ კი ვახტანგმა და კეისარმა ერთმანეთს გაუცვალეს ტერიტორიები, კერძოდ, კლარჯეთი და მისი მიმდებარე მიწები ჯერ კიდევ ვარაზ-ბაქარის დროს მიიტაცა საბერძნეთმა, ამ ტერიტორიის დაბრუნებას ვახტანგი ძლიერ ცდილობდა. პონტოში საზავო მოლაპარაკებისას საქართველოს დაუბრუნდა კლარჯეთი, ხოლო საბერძნეთს დაუბრუნდა აფხაზეთი. აფხაზეთის ერთი ნაწილი კი ეგრისწყლიდან კლისურამდე მზითვის სახით შეუერთდა ვახტანგის სამეფოს.

11. იგულისხმება იმ ეპისკოპოსების მთავარი, რომელნიც ვახტანგს შეეგებნენ – მთავარეპისკოპოსი მიქაელი.

12. ფულის ქისის შემნახველი, მოღარე.

13. „და დღეს იცოდეთ ახალნერგად ჭეშმარიტად ქართლი“.

14. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 146; სამთავროს უკვე არსებულ საეპისკოპოსო ტახტზე. აღსანიშნავია, რომ გეოგრაფიულად ქართლის სამეფო დაყოფილი იყო ოთხ ხევად: 1. ხევი ქართლისა (მტკვრის სათავიდან ხუნანამდე); 2. ხევი კახეთისა; 3. ხევი კლარჯეთისა და 4. ხევი ეგრისისა (ქ. ც. I, გვ. 146); ახალი ეპისკოპოსები დაუსვამთ 3 ხევში: ქართლში, კახეთში და კლარჯეთში.

15. ვახტანგის მეორე ცოლს მზითვად მოყვა ტერიტორია ეგრისწყლისა და კლისურის შუა, ამ ქალის შეილებს დარჩათ კიდევც სამემკვიდრეოდ ეს მიწები, ხოლო პირველი ცოლისგან დარჩენილებს სამხრეთ საქართველო.

16. ნაპატელნი ცხოვრობდნენ დღევანდელ აზერბაიჯანში ქ. შექის სანახებში. ქ. შექი მდებარეობს ქ. ზაქათალის აღმოსავლეთით 64 კმ. მანძილზე, ხოლო ქ. კახიდან დაშორებულია 34 კმ-ით. იმდროინდელი შეხედულებით, ნაპატელნი კახეთის პროვინციაში („ხევში“) შედიოდნენ და არა ჰერეთისაში.

17. იმპერატორი იუსტინიანე (527-565).